

კონტრკულტურის პოეტიკა და მისი თარგმნის პრობლემა (ჯეკ
კერუაკის რომანის „გზაზე“ მიხედვით)

ნატო ხარშილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების

მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მე-20 საუკუნის კონტრკულტურული მოძრაობის, ბიტნიკების თაობის იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ამსახველი ტექსტის ენობრივ-კულტურული თავისებურებების თარგმანში ასახვის პრობლემა. კერძოდ, გაანალიზებულია ჯეკ კერუაკის რომანის „გზაზე“ თამარ ჭილაძისეული თარგმანი. მასში მონა ბეიკერის ეკვივალენტობის მოდელისა და ჰელიდისა და ჰასანის რეგისტრის თეორიაზე დაყრდნობით გაანალიზებულია სტრატეგიები, რომლებსაც მთარგმნელი იყენებს ენობრივ-კულტურული განსხვავებულობით გამოწვეული სირთულეების გადალახვის მიზნით.

ყურადღება გამახვილებულია კონტრკულტურის პოეტიკისთვის დამახასიათებელი მეტყველებისა და არასტანდარტული ლექსიკური ერთეულების თარგმნის და საწყისი ტექსტის იდეოლოგიური ასპექტის სამიზნე ტექსტში შენარჩუნების პრობლემაზე.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კულტურული ასიმეტრიით გამოწვეული სიმწელებების მიუხედავად, სამიზნე ტექსტში იკითხება ბიტნიკების თაობის მეამბოხე იდეოლოგიის სულისკვეთება. ამ მიზნით, მთარგმნელი ძირითად შემთხვევაში იყენებს სამიზნე ენაში ფორმითა და შინაარსით მსგავს ან ფორმით განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს და სამიზნე ენაში გადმოაქვს არაფორმალური რეგისტრით.

საკვანძო სიტყვები: კონტრკულტურა, მთარგმნელობითი სტრატეგიები, იდიომების თარგმნა, ეკვივალენტობა, არასტანდარტული ლექსიკური ერთეულები.

Abstract

Counterculture in Jack Kerouac's *On the Road*: Challenges of Translation

The thesis addresses the problem of translating linguistic and cultural peculiarities of the text reflecting the countercultural movement that lasted from the 1960s through the 1970s and the ideology of the Beatnik generation. More specifically, it analyzes the characteristics of counterculture movement as reflected in the novel by Jack Kerouac *On the Road* and the difficulties associated with their rendering in the target text.

The analysis of the translation by Tamar Chiladze is based on the model of the levels of equivalence by Mona Baker. It also takes into account Halliday's model of register. The detailed study of the source and target texts allowed to identify the strategies used by the translator for rendering the spirit of counterculture.

The study found that despite the difficulties caused by linguistic and cultural differences, the translator succeeds in preserving the ideology of the Beatnik generation and their rebellious nature. To this end, the translator essentially uses lexical items similar in form and content to the target language and translates them into the target language with an informal register.

Key words: counterculture, translation strategies, idiom translation, equivalence, non-standard lexical items